



MES 4 22 0001147570



23/09/2022

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 22/09/2022

სხდომის დაწყების დრო: 16:05 სთ

სხდომის დამთავრების დრო: 16:15 სთ

სხდომის თავმჯდომარე - არჩილ სუმბაძე

სხდომის მდივანი - კახაბერ ფარცვანია

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;

**კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, სხდომის მდივანი;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

**თამარა თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი)

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	მზია ყანჩელი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	მარი მგელაძე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა, საბჭოს წევრი - არჩილ სუმბაძე; ხოლო სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, კახაბერ ფარცვანიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### **სხდომის დღის წესრიგი:**

**1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს N1105675 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა**

#### **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**

✓ არა

#### **ზეპირი მოსმენა:**

**1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს N1105675 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარი თქმის შესახებ.

საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღებოდა განსახილველად.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ხომ არ ჰქონდა მიმართული საქალაქო სასამართლოსთვის, რის შესახებაც დაწესებულებამ წერილობით დაადასტურა, რომ მათ მხოლოდ სააპელაციო საბჭოში ჰქონდათ გადაწყვეტილება გასაჩივრებელი.

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ იურიდიულ პირს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის N1081311 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს მიერ წარმოდგენილი N1105675 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.


**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5  
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს N1105675 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე  
სუმბაძე არჩილ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
სხდომის მდივანი  
ფარცვანია კახაბერ

